



ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება N 40

26/09/2017

40-10-4-201709261155



დაბა ხულო

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვაკანტურ (შრომითი ხელშეკრულებით ასაყვანი) პოზიციებზე გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1) გამოცხადდეს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებულ შემდეგ ვაკანტურ (შრომითი ხელშეკრულებით ასაყვანი) პოზიციებზე გამარტივებული კონკურსი:

ა) საკრებულოს მძღოლი;

ბ) მდივან - რეფერენტი;

2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და კონკურსის გამოცხადება, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ წესით მისი ჩატარება.

3) წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (დაბა ხულო, აღმაშენებლის ქ. №5) კანონმდებლობით დადგენილ წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ჯამბულა სურგულაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელი

